

**შპს ბალტიის ბიზნეს განვითარება**

**(ს/კ 400098078)**

**ფინანსური ანგარიშგება**

**2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

## შინაარსი

|                                                                         |    |
|-------------------------------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                                | 3  |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება .....                                      | 5  |
| ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება .....                          | 6  |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები .....                    | 8  |
| ძირითადი საქმიანობა.....                                                | 8  |
| ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა..... | 8  |
| ფული და ფულის ექვივალენტები .....                                       | 12 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....                                         | 12 |
| სასაქონლო მატერიალური მარაგები.....                                     | 13 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....                                      | 13 |
| საგადასახადო ვალდებულებები .....                                        | 14 |
| შემოსავალი.....                                                         | 14 |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები .....                                 | 14 |
| სხვა შემოსულობა/ზარალი .....                                            | 14 |
| კაპიტალი .....                                                          | 14 |
| საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები .....                            | 15 |
| ფინანსური რისკის ფაქტორები.....                                         | 15 |
| 1. საბაზრო რისკი .....                                                  | 15 |
| 2. საკრედიტო რისკები.....                                               | 15 |
| 3. ლიკვიდურობის რისკი.....                                              | 15 |
| გაუთვალისწინებელი გარემოებები .....                                     | 15 |
| გადასახადები .....                                                      | 15 |
| ეკოლოგიური საკითხები .....                                              | 16 |
| COVID-19- ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.....                        | 16 |

## შპს ბალტიის ბიზნეს განვითარება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
31.12.2020-ის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

|                                         | 2020           | 2019           | 2018           |
|-----------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                         |                |                |                |
| <i>მიმდინარე აქტივები</i>               |                |                |                |
| ფული და ფულის ეკვივალენტები             | 138 726        |                |                |
| სავაჭრო მოთხოვნები                      | 223 024        |                |                |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ   | 39             |                |                |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები        | 74 458         |                | 39 909         |
| წინასწარ გადახდილი საბიუჯეტო გადასახადი | 36 906         |                |                |
| მოკლევადიანი სათამაშო მოთხოვნები        | 98 600         | -              | -              |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>           | <b>571 753</b> |                |                |
| <i>სასაქონლო მატერიალური მარაგი</i>     |                |                |                |
| საქონელი                                | -              | 658            | -              |
| ნედლეული და მასალები                    | -              | 16 879         |                |
| დაუმთავრებელი წარმოება                  | 287 681        | 199 978        |                |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები     | 38             | 38             | -              |
| <b>სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი</b> | <b>287 719</b> | <b>217 552</b> |                |
| <i>გრძელვადიანი აქტივები</i>            |                |                |                |
| სამუშაო ინსტრუმენტები                   | 2499           | 1 980          | 429            |
| ოფისის აღჭურვილობა                      | 9415           | 3 900          | 5678           |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი                 | 12841          | 9 403          | 10 748         |
| არამატერიალური აქტივები                 | 1214           | 1214           | 1214           |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>        | <b>25970</b>   | <b>16 497</b>  | <b>18 069</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                     | <b>885 442</b> | <b>412 562</b> | <b>266 751</b> |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>        |                |                |                |
| <i>მიმდინარე ვალდებულებები</i>          |                |                |                |
| მოწ და მომსახ წარმოქმნილი ვალდებულებები | 352 751        | 349 553        | 461 964        |
| მიღებული ავანსები                       | 623 521        | 549 190        | 141 409        |
| მოკლევადიანი სესხები                    | 393 745        | 3 900          | 17 000         |

|                                          |                    |                    |                    |
|------------------------------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები          | -                  |                    | 1767               |
| დაზღვევა                                 | -                  | 54                 | -                  |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>       | <b>1 370 017</b>   | <b>902 366</b>     | <b>622 140</b>     |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                 |                    |                    |                    |
| დაუფარავი ზარალი                         | -484 575           | -589 815           | -379 400           |
| საწესდებო კაპიტალი                       |                    | 100 011            | 24 011             |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>             | <b>-484 575</b>    | <b>-489 803</b>    | <b>-355 389</b>    |
| <br><b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> | <br><b>885 442</b> | <br><b>412 562</b> | <br><b>266 751</b> |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი : ბექა ძაგნიძე

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2021 წელი



*Handwritten signature in blue ink.*

შპს ბალტიის ბიზნეს განვითარება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

|                                          | 2020               | 2019             |
|------------------------------------------|--------------------|------------------|
| ამონაგები საქონლის გაყიდვიდან            | 260 780            | 191 558          |
| ამონაგები მომსახურების გაწევიდან         | 2 391 507          | 777 255          |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება    | (1 226 769 )       | (746 368 )       |
| <b>საერთო მოგება</b>                     | <b>1 425 518</b>   | <b>225 445</b>   |
| <b>საოპერაციო ხარჯები</b>                | <b>(1 292 446)</b> | <b>(489 286)</b> |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | (924 729)          | (352 030)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                     | (6 284)            | (4 075)          |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები        | (325 296)          | (130 726)        |
| იჯარის ხარჯი                             | (28 448)           |                  |
| საპროცენტო ხარჯი                         | (7 6 89)           | (2 455)          |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                 | <b>133 072</b>     | <b>(266 841)</b> |
| <b>არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი</b> |                    |                  |
| ხარჯი ვალუტის კურსის ცვლილებიდან         | (24 201)           | (1 339)          |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი      | (3 631)            | 57 765           |
| <b>წმინდა მოგება (ზარალი)</b>            | <b>105 240</b>     | <b>(210 415)</b> |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი : ბექა ძაგნიძე

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2021 წელი



*Handwritten signature of B. Dzagndze*

## შპს ბალტიის ბიზნეს განვითარება

ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

|                                                   | 2020       | 2019     |
|---------------------------------------------------|------------|----------|
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში       | 529        | 40 463   |
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან   | 372 328    | (93 864) |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | (25 612)   | (3 054)  |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან    | ( 198 660) | 60 600   |
| სავალუტო კურსის ეფექტი                            | (9 859)    | (3 616)  |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს            | 138 726    | 529      |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი : ბექა ძაგნიძე

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2021 წელი



შპს ბალტიის ბიზნეს განვითარება

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის დასრულებული წლისათვის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

|                               | საწესდებო<br>კაპიტალი | გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | მთლიანი<br>კაპიტალი |
|-------------------------------|-----------------------|------------------------|-------------------------|---------------------|
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>24 011</b>         |                        | <b>(379 400)</b>        | <b>(355 349)</b>    |
| წმინდა მოგება                 |                       |                        |                         |                     |
| სხვა სრული შემოსავალი         |                       |                        |                         |                     |
| გაცემული დივიდენდი            |                       |                        |                         |                     |
| საწესდებო კაპიტალის<br>ზრდა   | 24 011                |                        | (379 400)               | (355 349)           |
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>1 00011</b>        |                        | <b>(589 815)</b>        | <b>(489 804 )</b>   |
| წმინდა მოგება                 |                       |                        |                         |                     |
| სხვა სრული შემოსავალი         |                       |                        |                         |                     |
| გაცემული დივიდენდი            |                       |                        |                         |                     |
| საწესდებო კაპიტალის<br>ზრდა   | 76 000                |                        | (589 815)               |                     |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>-</b>              |                        | <b>(484 575)</b>        | <b>(484 575)</b>    |

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი : ბექა ძაგნიძე

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2021 წელი



*Handwritten signature in blue ink.*

## შპს ბალტიის ბიზნეს განვითარება

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

#### *ძირითადი საქმიანობა*

შპს ბალტიის ბიზნეს განვითარება (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის 23 აგვისტოს და რეგისტრირებულია საქართველოში.

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა, აგრეთვე სხვადასხვა ობიექტების სამშენებლო და სარემონტო საქმიანობა.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით

|               | 2020 წელი | 2019 წელი |
|---------------|-----------|-----------|
| ბექა ძაგნიძე  | 50%       | 50%       |
| სერგეი ბაბიჩი | 50%       | 50%       |

### *ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა*

#### ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2018 , 2019 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებებს. 2019 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს. საკუთარი კაპიტალის

ცვლილებების ანგარიშგებას, 2019 და 2020 წლების ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

### მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2020 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად.

### ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიამ 2020 წელს გამოიმუშავა 105 240 ლარი წმინდა მოგება (2019 წლის ზარალი შეადგენდა 210 415 ლარს) . 2020 წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ამონაგები საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და კომპანიის ოპერაციების მომგებიანობით გაგრძელების შესაძლებლობა აქვს.

### ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ , როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით , ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით. წინასწარ მიღებული ავანსები განიხილება, როგორც გამოუმუშავებელი შემოსავალი.

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომლიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას არ უწევს მოგების

გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებელს და სხვა პირდაპირ მიკუთვნებულ გადასახადებს. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი                 | სასარგებლო პერიოდის ვადა |
|-------------------------------------------|--------------------------|
| ავტო სანტრასპორტო საშუალებები             | 5-10 წელი                |
| კომპიუტერული და ელექტრონული მოწყობილობები | 3-5 წელი                 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი                   | 3-7 წელი                 |

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ძირითადი ნაწილი შეადგენს კომპანიის მიერ შეძენილ საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

### სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

როდესაც მშენებლობა ეხება რამდენიმე აქტივს, მაშინ თითოეული აქტივის მშენებლობა განიხილება როგორც დამოუკიდებელი და შესაბამისად ხდება მასზე გაწეული დანახარჯების მიკუთვნება სამშენებლო ერთეულის ღირებულების გამოსათვლელად. ფართის რეალიზაციის მომენტში თვითღირებულებად ჩამოიწერება გაყიდვის მომენტისათვის გაწეული დანახარჯების პროპორციული ნაწილი.

### სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანიას ამას გარდა აქვს პოლიტიკა ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების შეფასებისა, რის მიხედვითაც გამოანგარიშებული თანხები ექვემდებარება საექვო მოთხოვნების რეზერვებში აღრიცხვას, კერძოდ 360 დღემდე ვადაგადაცილებული თანხები ექვემდებარება 100 % - ით დარეზერვებას.

### სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

**ფული და ფულის ეკვივალენტები**

|                             | <b>31 დეკემბერი 2020წ</b> | <b>31 დეკემბერი 2019წ</b> |
|-----------------------------|---------------------------|---------------------------|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 138 726                   | 529                       |
| <b>სულ</b>                  | <b>138 726</b>            | <b>529</b>                |

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

|                                       | <b>31 დეკემბერი 2020 წ</b> | <b>31 დეკემბერი 2019 წ</b> |
|---------------------------------------|----------------------------|----------------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                    | 223 024                    | 62 386                     |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ | 39                         | 4 098                      |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები      | 74 458                     | 103 991                    |
| მოკლევადიანი სათამაშუკო მოთხოვნები    | 98600                      | -                          |
| <b>სულ</b>                            | <b>396 121</b>             | <b>170 475</b>             |

მოკლევადიანი მოთხოვნები გაზრდილია 2020 წლის 31 დეკემბრისთვის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ხარჯზე.

### სასაქონლო მატერიალური მარაგები

|                                         | 31 დეკემბერი 2020წ | 31 დეკემბერი 2019წ |
|-----------------------------------------|--------------------|--------------------|
| საქონელი                                | -                  | 658                |
| ნედლეული და მასალები                    | -                  | 16 879             |
| დაუმთავრებელი წარმოება                  | 287 681            | 199 978            |
| სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები     | 38                 | 38                 |
| <b>სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი</b> | <b>287 719</b>     | <b>217 552</b>     |

დაუმთავრებელი წარმოება 2020 წელს გაიზარდა, ვინაიდან მიმდინარე წელს გაიზარდა შეკვეთების მოცულობა და შესასრულებელი კონტრაქტები.

### სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

|                                         | 31 დეკემბერი 2020წ | 31 დეკემბერი 2019წ |
|-----------------------------------------|--------------------|--------------------|
| მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები | 352 751            | 349 553            |
| მიღებული ავანსები                       | 623 521            | 549 190            |
| მოკლევადიანი სესხები                    | 393 745            | 3900               |
| დაზღვევა                                | -                  | 54                 |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>      | <b>1 370 017</b>   | <b>902 366</b>     |

2020 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მოკლევადიანი სესხის თანხა. 2019 წლის მსგავსად 2020 წელსაც განხორციელდა უცხოელ მომწოდებელზე თანხის გადახდა.

### საგადასახადო ვალდებულებები

|                                         | 31 დეკემბერი 2020 წ | 31 დეკემბერი 2019წ |
|-----------------------------------------|---------------------|--------------------|
| წინასწარ გადახდილი საბიუჯეტო გადასახადი | 36 906              | 7 509              |
| <b>სულ</b>                              | <b>36 906</b>       | <b>7 509</b>       |

### შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი 2020 წელს მნიშვნელოვნად იზრდება. მისი უდიდესი ნაწილი შედგება შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლისგან.

|                                  | 31 დეკემბერი 2020 წ | 31 დეკემბერი 2019წ |
|----------------------------------|---------------------|--------------------|
| ამონაგები საქონლის გაყიდვიდან    | 260 780             | 191 558            |
| ამონაგები მომსახურების გაწევიდან | 2 391 507           | 777 255            |
| <b>სულ</b>                       | <b>2 652 287</b>    | <b>968 813</b>     |

### ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს გაცემულ შრომით ანაზღაურებას და საპენსიო შენატანებს, კომუნალურსა და კომუნიკაციის ხარჯებს. მნიშვნელოვანია ოფისის მომსახურებისა და დაცვის უზრუნველყოფის ხარჯები.

### სხვა შემოსულობა/ზარალი

2019 საანგარიშგებო წლებში კომპანია იყო ზარალიანი, 2020 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ამონაგები რეალიზაციიდან, რის შედეგადაც კომპანიამ საანგარიშგებო წელი დაასრულა მოგებით.

### კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისა/დაუფარავი ზარალისგან და საწესდებო კაპიტალისგან. 2020 წელს არ მომხდარა დივიდენდის გაცემა.

## *საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები*

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

### **ფინანსური რისკის ფაქტორები**

#### **1. საბაზრო რისკი**

ჯგუფს აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებული სავალუტო რისკებთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საფინანსო საქმიანობიდან.

ჯგუფს ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე აქვს საკურსო სხვაობების რისკი. სავალუტო კურსებში სხვაობების გამოვლინებები წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ოპერაციებთან.

#### **2. საკრედიტო რისკები**

საკრედიტო რისკი ნიშნავს, იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებას, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო.

#### **3. ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები,

ჯგუფი ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას. აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება

### **გაუთვალისწინებელი გარემოებები**

#### **გადასახადები**

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებასთან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლობის მიერ, რომელიც უფლებამოსილნი არიან კანონით დაარიცხონ ჯარიმები და საურავები.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად.

### **ეკოლოგიური საკითხები**

საქართველოში ეკოლოგიური რეგულაციების ძალაში შესვლა განვითარების პროცესში იმყოფება და სამთავრობო უწყებების აღსრულების პოზიცია გადაიხედება. „კომპანია“ პერიოდულად აფასებს ეკოლოგიური რეგულაციების ფარგლებში მის ვალდებულებას. ვალდებულებები განსაზღვრისთანავე აღიარდება. არსებული კანონმდებლობის ფარგლებში აღსრულების მოცემულ კლიმატში, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს გარემოს დაზიანების მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

### **COVID-19- ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე**

2020 წელს COVID 19 -პანდემიით გამოწვეული სახელმწიფო რეგულაციების გამო, საქართველოში მოქმედი კომპანიების უმრავლესობა დადგა ფუნქციონირებადი საწარმოს შეწყვეტის საფრთხის წინაშე. გაიზარდა ამონაგები რეალიზაციიდან, თუმცა შეფერხებულია მყიდველთა გადახდისუნარიანობა. მიუხედავად ამისა შპს ბალტიის ბიზნეს განვითარების საქმიანობა არ დამდგარა შეჩერების საშიშროების წინაშე და არც მომავალში აქვს მსგავსი მოლოდინი

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი : ბექა ძაგნიძე

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2021 წელი

